№ 101 მაისი 17, ოთხშაბათი 1889 მაისი 17, ოთხშაბათი № 101

# ივერია

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

ამ ნომერში რვა გვერდია.

## სახალხო სეირნობა

## ლატარია-ალლეგრით,

რომელიც გამუდმებულ წვიმების გამო ვერ მოხერხდა 7 და 14 მაისს, გაიმართება კვირას, 21 მაისს.

ტფილისი, 16 მაისი

რუსეთის ერთს საუკეთესო, დაწინაურებულს ნაწილს შეადგენს დიდი სამთავრო ფინლიანდიისა, რომელიც რუსეთს შემოუერთდა ამ საუკუნის დასაწყისს და რომელსაც იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა დაუმკვიდრა საკუთარი კონსტიტუცია, სენატი, და საქვეყნოდ აღუთქვა, რომ რუსეთი ყოველის განსაცდელისაგან დაიცავდა იმისს კონსტიტუციას. ალექსანდრე პირველმა აგრეთვე შეიწყნარა წინანდელი კანონი ფინლიანდიისა, რომლის ძალითაც სენატის წევრად ყოფნა შეეძლო მხოლოდ ფინლიანდიელს და იმათაც, ვინც ფინლიანდიის მოქალაქობრივს უფლებას შეიძენდა. ალექსანდრე პირველის აღთქმა ხელშეუხებელი დარჩა, ფინლიანდია დღემდე თავისის კონსტიტუციით ხელმძღვანელობს და ამის გამოისობით ერმა დაიმკვიდრა ნამდვილი თვით-მართველობა, ჭეშმარიტი სამართალი და მთელი ქვეყანა მოიფინა სკოლებით, ასე რომ დღეს ფინლიანდია განთქმულია სკოლების რაოდენობითა და შინაგანის ღირსებით.

მას შემდეგ, რაც რუსეთს შემოუერთდა ფინლიანდია და იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა თავისი ნდობა გამოუცხადა ფინლიანდიის ერსა და კონსტიტუციას, ფინლიანდია მტკიცედ იცავს თავისს კონსტიტუციას, კანონებსა, და რუსეთის ერთგულებას არც ერთხელ არ გადასდგომია. ერთის სიტყვით, ფინლიანდია ჯეროვანად აფასებდა როგორც თავისს კონსტიტუციას და თვით-მართველობას, აგრეთვე რუსეთის მფარველობასა და ძლიერებას. რუსეთის მართველობა და ფინლიანდიის ერი იცავდნენ კონსტიტუციას, რის გამოც ფინლიანდია დღეს ისეთს ყოფაშია, რომ არამც თუ დანარჩენის რუსეთისათვის არის სამაგალითო, არამედ ევროპის ზოგიერთ ერისათვისაც.

როგორც ვსთქვით, ფინლიანდია რიგიანად და განონიერად ხელმძღვანელობდა თავისის კონსტიტუციით და რუსეთის მართებლობა კარგის თვალით უყურებდა ამ ქვეყანას, ხოლო ამ რამდენისამე წლის წინად რუსის მწერლობის ერთმა ნაწილმა „მოსკოვის უწყებათა“ მეთაურობით გაილაშქრა ფინლიანდიის წინააღმდეგ და ვინ იცის რა არ შესწამა მხნესა და გულ-მართალს ერს, სულითა და გულით ერთგულს რუსეთისას. ეს დასი მწერლობისა ამტკიცებდა, რომ ფინლიანდია რუსეთს მტრულის თვალით უყურებს და ფარულად სცდილობს რუსეთის ბატონობას თავი დააღწიოს. ამ დასმა მოიწადინა მიწასთან გაესწორებინა მთელი ერი, იმისი მწერლობა, ისტორია და ყოველივე, რითაც-კი ერს სული უდგია და გული უცემს; იგი იმ აზრს ადგა, რომ ფინლიანდიის ერი უნიჭო და მოდგმით უჯიშო არისო, რუსეთის წინააღმდეგია და ამიტომ რუსეთის მართებლობამ უნდა ჩამოართვას ყოველივე უპირატესობა, კონსტიტუცია და გაუთანასწოროს დანარჩენს რუსეთსაო.

ამ ლაღადებამ დიდი ზიანი მისცა, როგორც რუსეთს, ისე ფინლიანდიას. რუსეთსა და ფინლიანდიას შორის დაუნდობლობა ჩამოვარდა. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ ფინლიანდიის მრეწველობა და ვაჭრობაც შეავიწროეს: ფინლიანდიის ნაწარმოებს ბაჟი დაედვა რუსეთში და ამიტომ ფინლიანდია იძულებული შეიქმნა უცხო ბაზარი მოეპოვებინა თავისის ნაწარმოებისათვის. ასე მიმდინარეობდა საქმე დღევანდლამდე და დღეს-კი ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორმა პირბადე აჰხადა „მოსკოვის უწყებათა“ დასის ლაღადებას და საქვეყნოდ გამოაშკარავა, რომ ეს ლაღადი ყოვლად უმართებულო და ყალბი იყო. ფინლიანდიის უქვეშევრდომილესი მოხსენება „მართებლობის მოამბეში“ არის დაბეჭდილი და შიგ ნათქვამია, რომ ფინლიანდია მუდამ ჟამს რუსეთის ერთგულია, არც ერთხელ არ დაურღვევია არც თავისი კანონები და არც რუსეთისაო. ფინლიანდიის კონსტიტუცია თვით ფინლიანდიისათვისაც საბედნიეროა და რუსეთსაც არაფერში უშლის ხელსაო.

ამ სახით თვით რუსეთის მართებლობამ აღიარა საქვეყნოდ, რომ რაც ბრალი ‹მოსკოვის უწყებათა› დასმა შესწამა ფინლიანდიას, ტყუილი და ყალბიაო, და ამ ნაირად გამოაშკარავა ამ დასის ყალბი და მავნე განზრახვა.

რუსეთისა და ფინლიანდიის ყველა მოკეთე სიხარულით მიეგება ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის მოხსენებას და ამ ჟამად მხოლოდ იმასა სჩივის, რომ ეგ მოხსენება მას შემდეგ დაიბეჭდა, როცა „მოსკოვის უწყებათა“ დასმა ერთს ნაწილს საზოგადოებისას გული ააყრევინა ფინლიანდიაზე. უეჭველია, ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორის მოხსენება რამდენისამე ხნით მაინც ხმას გააკმენდინებს იმ მწერლობას, რომელიც შუღლსა და მტრობას ჰბადავს, ყველა უცხო ტომს ცილსა და მომაკვდინებელს ცოდვასა სწამებს და საქვეყნოდ სახელს უტეხს. ვინ მოსთვლის, რამდენი ვნება მოუტანია ამ გვარს მწერლობას იმათთვის, ვისზედაც ცილითა და ყალბის ბრალდებით გაულაშქრნია. როგორც ერთი გაზეთი ამბობს, ფინლიანდიას გარდა, სხვებსაც გამოუცდია, თუ რა არის „მოსკოვის უწყებათა“ დასის ყალბი ლაღადი და გამოლაშქრება. ამიტომ, ამბობს იგივე გაზეთი: კარგი იქნება, რომ თვით მართებლობამ ხმა ამოიღოს, როცა ის დასი მწერლობისა ვისმეზე ანრასმეზე გაილაშქრებს და ნაცარტუტას აადენს, და თავისი უტყუარი სიტყვა საქვეყნოდ წარმოსთქვას ისე, როგორც ამ ჟამად მოიქცა ფინლიანდიის შესახებაო.

ა. ნა—ლი

## ფელეტონი

### იალბუზის გარშემო

(შემდეგი*)

დილით ეცრისა და ფარის მამასახლისებს ნაბრძანები ჰქონდათ, თავ-თავიანთი საზოგადოება მოეყვანათ დანიშნულს ადგილას. ამ დღეს, 29 ივლისს, კომისიას უნდა გაეგო და დაედგინა საზღვარი ეცრსა და ფარს შუა. ამ ორს საზოგადოებას, რომელთაგან პირველი ეცრის დადიშქელიანების საყმოა და მეორე იყო თ. მურზაყანისა, შუაში ჩამოუდის ფინის ღელე. საჭიროა აქვე შევნიშნო, რომ ეცრისა და ფარის დადიშქელიანები შთამომავალნი არიან ბაბაციოფისა, რომელსაც ჰყავდა ხუთი შვილი. უფროსს შვილს ერქვა თენგიზი და უმცროსს თათარყანი. ბაბაციოყმა სიცოცხლეშივე გაუყო მამული შვილებს: თენგიზს მისცა ფარი და ჩუბეხევი, თათარყანს ეცერ-ცხომარი. უკანასკნელი სვანეთის მთავარი მურზაყანი იყო შვილიშვილის-შვილი ამ თენგიზისა. თათარყანი ბაბუა იყო ეხლანდელის ეცრის ბატონის თენგიზისა. კომისიას ის საზღვრები უნდა გაეგო, რომელიც დაუდვა ბაბაციოყმა თავისს შვილებს, თენგიზსა და თათარყანს. ამისი გაგება კომისიას შეეძლო ხალხისაგან და კიდეც ამიტომ იყო საჭირო იმათი ერთად თავის მოყრა. ორივე საზოგადოება დილას თავ მოყრილი იყო.

ძველის დროიდგან სვანეთში შემოღებული იყო ბუკის დაკვრით მოწვევა ხალხისა. ბუკი უთუოთ იყო ადგილობრივ ეკკლესიაში. გაისმოდა თუ არა იმისი ხმა, ხალხი მაშინვე შეუდგებოდა ყრილობაში წასასვლელად მომზადებას: პირს დაიბანდა, ჩაიცვამდა სადღესასწაულო ტანისამოსს, გამოეწყობოდა იარაღით და გასწევდა „ლალხორისკენ“ (ფორუმი), რომელიც ყოველს საზოგადოებას მიჩენილი ჰქონდა. რამდენიც უნდა ყოფილიყო ოჯახში მამაკაცი, ყველანი მიდიოდნენ ყრილობაში, მიდიოდნენ ქალებიც, მაგრამ ყრილობაში მარტო ის ქალები იღებდნენ მონაწილეობას ან რომელთაც არა ჰყავდათ ოჯახში მამაკაცები და ან ჰყავდათ, მაგრამ დროებით სხვაგან იყვნენ წასულნი. სოფლის „მახვში“ (მამასახლისი) ყრილობას გამოუცხადებდა მიზეზს, რამაც იგინი შეჰყარა, ხალხი მოისმენდა და გაიმართებოდა კამათობა და ბაასი. რაკი მორჩებოდნენ საზოგადო საქმეებს, შეიქნებოდა ნიშანში თოფის სროლა, ცეკვა-სიმღერა და ორფერხული, რომელშიაც ქალებს დიდი ადგილი ეჭირათ. ხშირად მოხდებოდა, რომ ყრილობა არაყს იშოვიდა ამ შემთხვევისათვის; იგი ან აიღებდა ბეგარას არაყით იმ მოსახლისაგან, რომელსაც იჯარით მიცემული ჰქონდა სასოფლო ადგილი, ანდა, ვისმე დაჰპირდებოდა ხარ-ძროხის ტყავებს, რომელთაც საზოგადოება მოკლეს ხანში დაუკლავდა მსხვერპლად „ღმერთებს“, როგორადაც ამას თხოულობდა ძველადგანვე შემოღებული ხალხის ჩვეულება. ეცერ-ფარის ყრილობას დღეს, რასაკვირველია, არ ექნებოდა არც ფერხულ-სიმღერა და არც არაყის სმა; სამხიარულო შემთხვევა, ნამეტურ ფარელებისათვის, სრულიად არ იყო დღეს. იმათ ამ ჟამად სულ სხვა დარდი აწუხებდათ, ყრილობის ადგილად დანიშნული იყო ეცრის განაპირა ადგილი, საიდგანაც ფარის სოფლებიც კარგად სჩანდა. ფარელების მოსვლამდე ეცერი თავ მოყრილი იყო. როდესაც კომისია მივიდა ყრილობაში, ფარელები ჯერ კიდევ არ იყვნენ მოსული. ნახევარ საათის ცდის შემდეგ გამოჩნდნენ ჩვენკენ მომავალი ფარელებიც; 150 კაცამდე იყვნენ ბაწრად გამბულნი გზაზე. მზიანი დღე იყო, თოფები ყველას გამოელო ბუდიდგან, ბეჭზე ჰქონდათ გადადებული და ლულებს ლაპლაპი გაჰქონდა მზეზედ. შორიდამ გვესმოდა იმათი მაღალი და გაჯავრებული ლაპარაკი. ბოლოს, როგორც იყო, მოაწიეს ჩვენამდე, კომისიის წევრებს როგორღაც უსიამოვნო თვალით შეხედეს, რამდენმამე კაცმა ყრილობიდამ ცივად სალამი მოგვცა, რომ ნამეტან უზრდელობად არ ჩამოგვერთმია მათი ქცევა, და შემდეგ მოშორებით დადგნენ ეცრის ყრილობისაგან. კომისიის ერთი წევრი, რომელსაც ამიერიდგან „მოხელეს“ ვუწოდებთ*), ცოტა არ იყოს გაჯავრებული იყო ფარელებზე დაგვიანების გამო და მოსალოდნელი იყო, რომ თავისს სიტყვას ლანძღვა-გინებით დაიწყებდა, მაგრამ თავი შეიკავა, ჰხედავდა რა, რომ ფარელები უიმისოდაც ვერ იყვნენ კარგს გუნებაზე. იგი ჩადგა ეცრისა და ფარის ყრილობას შუა და სთხოვა ერთმანეთზე ახლო მოსულიყვნენ, თორემ ასე შორს ვერ გააგონებდა ლაპარაკს. რაკი ფარელებმა ფეხი არ მოიცვალეს, გაჯავრებულმა მოხელემ ეცერლებს დაუყვირა ფარელებთან ახლო მისვლა. ეცერლებმა ახლო მიიწიეს. მოხელემ მოკლედ გადასცა ყრილობას კომისიის დანიშნულება, უთხრა, რომ თ. მურზაყანის ცოლ-შვილსა და ძმებზე მთავრობას ბევრი ფული დაეხარჯა და იმის მაგიერ ჰსურს თავადის მამულით ისარგებლოსო ამისათვის საჭიროა გაგება ნამდვილის საზღვრების თავ. მურზაყანის მამულის მხრივ. პირველად კომისიამ უნდა დანიშნოს საზღვარი ეცერსა და ფარს შუა და სთხოვს ყრილობას უჩვენოს ნამდვილად საზღვრებიო.

— აბა, მიუბრუნდა მოხელე ფარელებს. პირველად თქვენა სთქვით, რომელია თქვენი და ეცერლების საზღვარი?

ფარელების მხრით წინ წამოდგა ერთი მოლაპარაკე და სთქვა:

— ფარი და ეცერი თ. დადიშქელიანების სვანეთში მოსვლამდე დიდის ხნის წინად ყოფილან დასახლებულნი თავ-თავიანთ ადგილებზე და საზღვარიც ჰქონიათ. თუ არ ძალმომრეობით, იგი საზღვარი არასოდეს არ იცვლებოდა. ჩვენა გვგონია, რომ კომისია ძალას და მიკერძვას არ გამოიჩენს, და, თუ ეს შევამჩნიეთ, მაშინ ჩვენც მაგ ძალას დავადგებით და ერთს მტკაველს ჩვენს ადგილს არავის დავანებებთ, თუ გინდ ამას გადავყვეთ ყველა. მე მიკვირსო, განაგრძო ფარელმა: რომ შენ ამდენი ხანი სცხოვრობ სვანეთში, კარგად იცი ჩვენი და ეცრის საზღვარი და კიდევ გვეკითხები, საზღვარი მიჩვენეთო. ჩვენი საზღვარი უხსოვარის დროიდგან ყოფილა აი ეს ფინის ღელე, რომელიც ეცერსა და ფარს შუაა. ღელეს მარჯვნივ ადგილები ჩვენია და მარცხნივ—ეცერლებისა.

ეცრის მხრით წამოდგა თ. თენგიზის ძმა, თ. ბექირბი დადიშქელიანი, და განაცხადა, რომ ეცერლების მიწები ფინის ღელეს იქითაც არიანო. ამაზე ფარელებმა ყაყანი შექნეს და მკვახე სიტყვები გააგონეს თ. ბექირბის. თ. ბექირბის გული მოსდის და ყვირილს იწყებს. ფარელები უარესად ბრაზდებიან და რამდენსამე წამს ასტყდება ერთი არეულება და ყვირილი. მოხელე სცდილობს დააშოშმინოს ფარელები, მაგრამ არავინ უგონებს. ბოლოს ფარელები ჩუმდებიან. აღელვებული თ. ბექირბი ვერ იკავებს თავს და ხელ-ახლა უჯავრდება ფარელებს. ეს იწვევს ფარელების მხრით სამაგიეროს. ბექირბის ახლა ეცერლებიც მიემხრნენ. ასტყდება ისევ საშინელი ყვირილი. სამასამდე შეთოფ-იარაღებული სვანი ორ მოწინააღმდეგე დასად დაყოფილ მგლებივით უყურებს ერთმანეთს. არის

*) იხ. „ივერია“ № 101.

*) ამ მოხელესა და კომისიის მეორე წევრს ხშირად მოუხდებოდათ ხოლმე ერთმანეთში გამწვავებული ბაასი და ამისათვის ჩვენც ხშირად შეგვხდება იმათზე ლაპარაკი. მკითხველმა დაიმახსოვნოს, რომ „მოხელედ“ ყოველგან ერთი და იგივე წევრი გვყავს გამოყვანილი და იმის მოკამათედ ერთი და იგივე წევრი.

# ახალი ამბავი

*** ამ თთვის 15-ს, ორშაბათს, მათ უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევის დღე იყო და ამ დღეს მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობამ პალადიმ წირვა გადიხადა სიონში. წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი. ამ წირვაზე და პარაკლისზე დაესწრო მთელი დიდ-კაცობა ტფილისისა და მრავალი ხალხი.

*** სამშაბათს, 16 მაისს, დილის 9 საათზე, საგანგებო მატარებლით წავიდა ტფილისიდგან აქსტაფას თ. დონდუკოვ-კორსაკოვი. მისმა ბრწყინვალებამ უნდა გასინჯოს და დაათვალიეროს ჯარი და ზოგიერთი სხვა დაწესებულებანი. სხვათა შორის თ. დონდუკოვ-კორსაკოვმა უნდა ინახულოს სომეხთა უმაღლესი პატრიარხ-კათოლიკოსი მაკარი.

*** ტფილისის დედათა გიმნაზიაში ყმაწვილების მისაღები ეგზამენები დანიშნულია აგვისტოს დამლევს. არზები უნდა შეიტანონ აგვისტოს ნახევრამდე.

*** გამოვიდა ახალი ქართული სახალხო წიგნი—„დედამიწის მოყვანილობა“, სახალხო წიგნების მოყვარეთა გამოცემა. ამ მოყვარეთა დასაბეჭდად მოუმზადებიათ მეორე სახალხო წიგნი—„დედამიწის ტრიალი მზის გარშემო“. წიგნაკი ჰღირს ორი შაური.

*** წვიმების გამო მტკვარი ძალიან მოდიდდა, ხოლო გუშინ თითქმის ორს არშინამდე დაიკლო.

*** ძლიერის წვიმების გამო ყარსის გზაზე დელიჟანსა და განზაკენს შუა გზა გაფუჭებულა და მისვლა-მოსვლა შეწყვეტილა. გზის შეკეთება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია, რადგანაც წყალი სდგას.

*** ბანკის თეატრში ვიღაცეები იპარავენ ზედა-საცმელებს. ამ თთვის 15-ს სომხურის წარმოდგენის დროს მოუპარავთ ქამალიანცის პალტოც, 25 მანეთიანი.

*** **ბარის ოსეთი**: დაბა ნასრანიდგან ჩამოსულმა ოსებმა გვიამბეს, რომ იქ, წარსულს კვირაში, გაუროზგიათ თორმეტი ქიშთი; ისე სასტიკად გაუროზგიათ თურმე, რომ ადგომა ვერ შესძლესო და ნათესავებმა წაიყვანეს თავ-თავისს სახლშიო.

*** სოფ. **არდონი** (კავკავის მაზრა): სოფ. არდონში მცხოვრებმა ოსმა დოცოევმა თავი მოიკლა. დოცოევი ყმაწვილი კაცი იყო. თავის მოკვლის მიზეზი ისა ყოფილა, რომ განსვენებულს რამდენსამე ქალთან ჰქონია კავშირი. დოცოევს ჯერ ერთი ქალი შეეყვარებინა და მიეტოვებინა და შემდეგ მეორესაც ასე მოჰქცეოდა. ამ ორ ქალთან კავშირი იმითი გათავდა, რომ ერთსაცა და მეორესაც შვილები ეყოლათ. ქალების ნათესავები ემუქრებოდნენ დოცოევს, რომელსაც მუქარას გარდა სინიდისიც აწუხებდა. ამისთანა მდგომარეობას დოცოევმა ვერ გაუძლო, ამ დღეებში დამბაჩა დაიცა და წუთი-სოფელს გამოესალმა.

*** სოფ. **ხუმელაგა** (კავკავის მაზრა): ექსს ამ თთვისას ხუმელაგაში მცხოვრებთ გაბაკოვსა და ალბეგოვებს ჩხუბი მოუვიდათ. სამი კაცი ალბეგოვი სცემდა ერთს გაბაკოვს და ძალიანაც დაჰქექეს. გაბაკოვი იძულებული შეიქმნა, ხანჯალი იშიშვლა და კაცია ალბეგოვს მარჯვენა ხელის შუა-თითი და უსახელო თითი გააგდებინა. გაბაკოვმა ხელ-მეორედ მოუქნია ხანჯალი ალბეგოვს და საკმაოდ მძიმედ დასჭრა. ალბეგოვი მორჩება თუ არა, ღმერთმა იცის. გაბაკოვიც მძიმედ არის ავად.

*** „მწყემსი“ სწერს: ჩვენ მოვიპოვეთ ერთი ძველი შესანიშნავი რუსული წიგნი, რომელიც დაწყებულია XVII საუკუნის დასაწყისში და გათავებულია ამავე საუკუნის დამლევს. ამ წიგნში ისტორიისათვის ბევრი შესანიშნავი და საინტერესო ადგილებია. წიგნი შესდგება სტატიებისაგან, რომლებშიაც დაწვრილებით არის აღწერილი მოგზაურობა დესპანთა, ალექსი მიხეილის ძის მიერ გაგზავნილთა სპარსეთში შაჰ-აბაზთან და იმერეთის მეფე ალექსანდრესთან. ძლიერ საინტერესო და სასიამოვნო არის აღწერილობა ამ დესპანთაგან გელათის ტაძრისა, ქუთაისში ბაგრატის ტაძრისა, რომელშიაც მათ მოუსმენიათ კათოლიკოსის წირვა მეფის ალექსანდრეს თანადასწრებით, და ცერემონია, თუ როგორ მიართვეს მათ მეფე ალექსანდრეს ალექსი მიხეილის ძისგან გამოგზავნილი საჩუქრები.

*** იგივე გაზეთი გვატყობინებს: მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას, საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, რომელიც დაუცხრომლად მეცადინობს საქართველოს ძველ შესანიშნავ ტაძრებისა და მონასტრების განახლებას, უკვე მოუხდენია განკარგულება, რათა განაახლოს დიდებული სამების ტაძარი, რომელიც სოფელ ხაშმიდამ ექვსის ვერსის მანძილზე არის დაშორებული, და გორის მაზრის სოფლის ტიგვის ღვთის-მშობლის ტაძარი, რომელიც მდებარეობს თავ. ამირეჯიბებისა და ფალავანდიშვილების მამულში. ამ ტაძრების შესაკეთებლად საჭირო ფულების რამდენსამე ნაწილს ეგზარხოსი სწირავს კავკასიაში მართლ-მადიდებელ სარწმუნოების აღმადგინებელ საზოგადოების საშუალებათაგან“.

*** „მწყემსშივე“ ვკითხულობთ: ამავე საზოგადოების რჩევის ერთს კრებაზე მათ მეუფებას აღუძრავს კითხვა, რათა დაცულ და შეკეთებულ იქმნას მცხეთის შესანიშნავის ტაძრის ძველი მხატვრობა და რჩევას, ეგზარხოსის წინადადებისამებრ, დაუდგენია ამ საზოგადოების ძირეულ თამხისაგან 1,000 მანეთის დანიშვნა აღნიშნულ საგნისათვის.

*** 15-ს ამ თთვისას, მეორე განყოფილებაში, პლოტნიკოვის სახლს წინ, უპოვნიათ ახლად დაბადებული მიგდებული ბავშვი დედათა სქესისა. ყმაწვილი საბებო ინსტიტუტში გაუგზავნიათ.

*** იმავე დღეს, მეათე განყოფილებაში, დილის ოთხს საათზე, ელისაბედის ქუჩაზე, ფრიდრიხ მოიტის სახლის გაქურდვა მოუნდომებიათ ორს ვიღაცა ავაზაკს, ხოლო როცა პოლიციელი დაუნახავთ, გაქცეულან. შემდეგ პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს შეუპყრია ორივე—ერთი ქუთაისის გუბერნიის და რაჭის მაზრის მცხოვრები ბაგრატ ჩახუნელიძე და მეორეც გორის მაზრის მცხოვრები სანდრო ფალავანდიშვილი, რომელიც ამ ორის კვირის წინად გამოუშვიათ ციხიდგან.

*** 14-ს ამ თთვისას მიხეილის ქუჩაზე ქუთაისის გუბერნიის გლეხი იასონ ბარაბაძე წაეჩხუბა ტფილისის მცხოვრებს ბელიაევს. ბარაბაძემ ბელიაევი დასჭრა თავსა და ფეხში. ბელიაევი სამკურნალოში გაგზავნეს და ბარაბაძე-კი შეპყრობილია.

*** 15-ს ამ თთვისას, პირველს განყოფილებაში, ქალაქ გარეთ, ვარაზის ხევის მახლობლად, უპოვნიათ გვამი ვალერიან ლეტუნოვსკისა, 18-ის წლისა. ლეტუნოვსკი მოხელის შვილი ყოფილა და, როგორც ეტყობა, ძალად მოკლულია. გვამი სამკურნალოში გაგზავნეს.

*** იმავე დღეს, პირველს განყოფილებაში, მიხეილის რაევის სამზარეულოდგან ვიღაც ბატანოვსკის სამოვარი მოუპარავს. ქურდი შეუპყრია პოლიციას.

*** იმავე დღეს, პირველს განყოფილებაში, მართლ-მადიდებელთა სასაფლაოზე, პოლიციელს შეუპყრია სამსახურიდგან გადამდგარი ჟანდარმ-კაცი ნოვგოროდსკი, რომელსაც რკინის ბადე ჩამოეხსნა ძეგლიდგან და მოეპარა.

## მილიონები

წერილები დე-ვარინიისა

### III*)

ამერიკის მილიონერ პატრონთა სიის მეშვიდე რიგში სწერია ყველას ნაცნობი გვარი ჯემს-გორდონ ბენნეტისა, „New-York Herald“-ის გამომცემლისა. ცხოვრება ამ კაცისა, რომელმაც საკუთარის ხელით შეიძინა უშველებელი ქონება, ისეა საყურადღებო, როგორც ამბავი იმის გაზეთის აღ-კარგიანობისა. ბენნეტი საკვირველი ხასიათის კაცია, თავისის ღონისა დიდი რწმენა აქვს და საოცარის უნარით უხვდება ყოველ გვარს გარემოებას თავისის ცხოვრებისას, ავი იქნება ეს გარემოება, თუ კარგი.

აი, ასეთის ხასიათის პატრონი ჯემს-გორდონ ბენნეტი შთამომავლობით ამერიკელი არ იყო. იგი დაიბადა შოტლანდიაში, კათოლიკე იყო სარწმუნოებით, სემინარიაში ჰქონდა სწავლა-დამთავრებული და თავისის მშობლების სურვილით სამღვდელო წოდებას უნდა მიჰკერძებოდა. ხოლო ამ დროს ყმაწვილმა კაცმა წაიკითხა ავტობიოგრაფია ბენიამინ ფრანკლინისა, საყვარელი წიგნი მაშინდელის ახალგაზრდობისა, და გადასწყვიტა, რომ ამერიკაში გაქცეულიყო და ჟურნალს გამოეცემო. ამას შემდეგ სულ სამს თთვეს არ გაუვლია, რომ ბენნეტი უკვე ბოსტონში იყო. „მარტო ვიყა-

*) იხ. „ივერია“ №№ 97 და 98.

---

ერთი ჩოჩქოლი, მისვლა-მოსვლა, მუქარა. კომისიის წევრები ვერაფერს აწყობენ. ამ ხალხის მღელვარებამ რამდენსამე წამს გასტანა. ბოლოს ერთი ფარელი წამოიძახებს: წავიდეთ ჩვენს სოფელში, იქ მობრძანდნენ ეცერლები თავიანთის ბატონებით და და იქ გავსცემთ საკადრისს პასუხსაო. სთქვა თუ არა ეს, ფარელები იმ წამსვე გაუდგნენ ფარისკენ წასასვლელად. გაჯავრებული მოხელე, რაც შეუძლიან, უყვირის ფარელებს, რომ სახლში ნუ წახვალთო, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს, ხალხი მიდის სახლში. მოხელემ ცხენი მოითხოვა, მითხრა გავყოლოდი მეც, გავსწიეთ და წინ მოვუარეთ ფარელებს. წინ მიმავალნი მოხელემ შეაჩერა. სთხოვა, ორიოდე სიტყვა მოისმინეთ და მერე რაც გინდათ, ის ჰქენითო. ხალხი შეჩერდა. მოხელე დაუყუჩდა და იმდენი ელაპარაკა, რომ უკან დააბრუნა. აქ მოხელე მაშინვე ბექირბის მიუბრუნდა და გაჯავრებულმა გადასცა: ლაპარაკში არ ჩაერიოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია ოქმს შეადგენს, რომ თქვენ ხელს გვიშლითო. აქ თ. თენგიზიც, რომელიც აქამდე ხმას არ იღებდა, ჩაერია საქმეში და უთხრა თავისს ძმას, რომ ყრილობას გაეცალეო. თ. თენგიზი, როგორც ნათქვამია, ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა. უეჭველია, იგი, როგორც ეცრის მემამულე, სცდილობდა საზღვარი ეცერლების სასარგებლოდ დარჩენილიყო, მაგრამ ამ სურვილს აშკარად ვერ ამჟღავნებდა, რადგან თითონ იყო თ. მურზაყანის მამულის მოიჯარადრე და, მაშასადამე, ამ მამულის ინტერესები უნდა დაეცვა. რომ ეცერლებს არ აწყენინოს დი კომისიამაც ეჭვის თვალით არ შეხედოს, იგი გაჩუმდა, მოერიდა ყრილობაში ჩარევასა და ლაპარაკს. ცხადი იყო, რომ მას თავის მაგიერ ძმა გაენდო ეცერლების მხრით მოლაპარაკედ, მაგრამ როდესაც შეატყო და საჭიროდ დაინახა, უთხრა ძმას ყრილობიდგან გასვლა და კიდეც გავიდა. თ. ბექირბის ყრილობიდგან გასვლის შემდეგ მოხელე ისევ მიუბრუნდა და ფარელებს სთხოვა, დამშვიდებულად ელაპარაკათ და არ აეტეხათ კვლავ აყალმაყალი. ფარელებმა მიუგეს გადაჭრით, რომ თუ მათსა და ეცერს შუა ფინის ხეობა არ დარჩება საზღვრად, მაშინ ჩვენ უთუოდ სახლში წავალთ და ნებით არავის დავაჩაგვრინებთ ჩვენს თავსაო. ცოტა ხნის ლაპარაკს შემდეგ ეცერლებიც დაიყოლია კომისიამ და საზღვრად ფინის ღელე დარჩა.

ამასობაში საღამო შეიქნა. ღამით კომისია ფარს უნდა წასულიყო. ეს იყო 30-ს ივლისს. ღამის გასათევად სვანეთის ბლალოჩინისას მივედით. მასპინძელი ამ ჟამად სახლში არ იყო. სახლი ხისაა, შეტკეჩილი, ერთ სართულიანი და სამ-ოთახიანი. ეს სახლი სკოლისთვის აშენებულია 1864 წ. კავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელის საზოგადოების ხარჯით.

დიაღ, სკოლისთვის იყო ეს სახლი აშენებული, მხოლოდ სკოლა-კი არასოდეს არა ყოფილა იქ. დღესაც ხელ-უხლებლად სდგას აქ რამდენიმე ყუთი სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთით გამოტენილი, მომეტებულად „ლუშნუ ანბანით“ (სვანური ანბანი), რომელიც შესდგა განსვენებულის პ. უსლარის მოგონილის ასოებით. 1872 წ. მასწავლებელიც დაინიშნა აქ, რამდენიმე კვირა ფარელების ბავშვებიც დადიოდნენ, მაგრამ როდესაც მშობლებმა გაიგონეს მუ გვიშგვე, ხედა ხი დეცარჟი“ (მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა) და „ნუ გეშინის მცემელო“, სვანურად „ნუ გეშინია“-დ თარგმნილი, უმჯობესად დაინახეს შვილები ისევ სახლში წაეყვანათ და სამწყესურში გაეგზავნათ, ვიდრე ღვთის გმობა ესწავლებინათ „ლუშნუ ანბანის“ წყალობით.

ამნაირად სკოლაში მარტო მასწავლებელი დარჩა. მან სცადა თავისუფალს სვანეთში გაემართნა სკოლა და აირჩია მესტიის საზოგადოება. აქ მაშინ მღვდლად იყო მ. ილარიონ გერსამია, ხალხისაგან პატივცემული, რომელსაც ავაზაკებმა ბოლო მოუღეს ქუთაისში შარშან. მ. გერსამიას მეცადინეობით რამდენიმე ბავშვი შეაგროვეს და დააწყებინეს სწავლა. „ლუშნუ ანბანმა“ აქაც ვერ იხეირა. რამდენსამე ხანს შემდეგ მასწავლებელი მღვდლად ეკურთხა, ბავშვები თავიანთ სახლებში დაბრუნდნენ და ეს იყო და ეს, მას აქეთ სვანეთს სკოლა აღარ ჰღირსებია. აი მოკლედ დასაბამი და დასასრული სწავლა-განათლების ისტორიისა სვანეთში!

ასე და ამ ნაირად კომისია ამ სახლში დაბინავდა. მოხელემ ფარის მამასახლისს უბრძანა, რომ სახვალიოდ ხუთი ცხენი ეშოვნა. მამასახლისი რომ ცხენების საშოვნელად წავიდა, ჩვენ ჩაის სმას შევუდექით.

აქ უადგილო არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ფარის საზოგადოებაზე, როგორც რეზიდენციაზე უკანასკნელის სვანეთის მთავრისა. ფარის საზოგადოებას სულ ხუთი სოფელი შეადგენს. ადგილ-მდებარეობა ულამაზოა. სახმარი ადგილები ხალხს ნაკლებად აქვს. შეძლებულს მოსახლეს აქ უფრო ნაკლებად შეხვდებით, მინამ სვანეთის სოფლებში. თ. დადიშქელიანების გვართაგანი ერთი აქ დასახლდა, სახელდობრ ბაბაციოყი. ეს ბაბაციოყი, თუ ვერწმუნებით ლეგენდას, მეხუთე მოდგმა იყო დადიშქელიანების თავდაპირველის წინაპრის ფუთასი. სასახლე ფარელ დადიშქელიანებს შიგ სოფელში ჰქონდათ. იგი, გარდა სიდიდისა, არაფრით განირჩევა სვანურის სახლებისაგან. დღეს ეს სახლი დანგრეულია. თ. მურზაყანის დროს აეშენებინათ ორი სახლი თათრულს გემოვნებაზე. ერთი ამათგანი დღეს სასოფლო კანცელარიად არის გადაქცეული, მეორე უჭირავს ფარელს მოსახლეს.

ჩაი დიდის ხნით გათავებული გვქონდა, რომ გაოფლიანებული მამასახლისი შემოვიდა ჩვენთან. საცოდავს თავის ფეხით დაეარნა ყველა მოსახლე, ვისაც-კი ცხენი ჰყავდა, მაგრამ ვერას გამხდარიყო. მოახსენა მოხელეს, რომ ხუთის ცხენის შოვნა არ შეიძლებაო, სამი ვიშოვნე და ისინიც იმიტომ, რომ მე და ჩემს ძმებს გვყავსო. მოხელეს გული მოუვიდა და ლანძღვა დაუწყო მამასახლისს. უარეს გუნებაზე მამასახლისი იყო. ერთის მხრით სოფელში არ უგონებდნენ და მეორეს მხრით მოხელე უჯავრდებოდა. რას მიჯავრდებიო, უთხრა მამასახლისმა: შენ ხომ ჩემზე უფროსი ხარ, აბა სცადე და შენ იშოვნეო. აქვე მოგიყვან ცხენების პატრონს, შენ იცი და იმათაო, და გავიდა კარში. ერთ საათს შემდეგ სამი ფარელი შემოიყვანა მამასახლისმა, დაუყენა წინ მოხელეს და უთხრა: აი ცხენების პატრონებიო. სამივე ფარელი მამასახლისს შეაშტერდნენ, მამასახლისს იგინი სხვა მიზეზით მოეყვანა და ცხენების გაქირავებაზე არაფერი გაემხილა, რადგან მაშინ არ მოვიდოდნენ მოხელესთან.

— განა მაგისთვის მოგვიყვანე აქაო, შეესიენ სამნივე მამასახლისს: ხომ გითხარით წინადაც, რომ ცხენებს არ გავაქირავებთო. მამასახლისი ჩუმად იდგა. მოხელე მიუბრუნდა სამს ფარელს:

მოხელე. თქვენ გყავთ ცხენები?

ფარელები. გვყავს.

მოხელე: ხვალ აი, ამ სოფლამდე გვაქირავეთ და ფულს მოგცემთ.

ერთი ფარელთაგანი. ჩემი ცხენი სუქნად არის და ვერ გაქირავებ.

მეორე. მე ამ დღეებში სხვა სოფელში ვაპირებ და მანამდი არ მინდა ცხენი ეხედნო.

მესამე. რა ქირა უნდა მომცეთ, რომ ცხენიც დავღალო და მეც მოვცდე, მე ვერ გაქირავებ.

ვით, სწერს იგი: ახალგაზდა და იმედითა და სასოებით სავსე. თითქმის თავაუღებულივ წავიკითხე ის მომჯადოებელი წიგნი, სადაც მოთხრობილია ცხოვრება ბენიამინე ფრანკლინისა, და ბოსტონს, ამ საცხოვრებელს ბინას ჩემის გმირისას, ისე ვუყურებდი, როგორც მკვირფასსა და საყვარელს სამშობლოს. და ჩაგრულთა განსათავისუფლებელი ომიც მაღელვებდა და მასიამოვნებდა. ასე მეგონა, რომ წმინდა მიწას ვლახავ-მეთქი ფეხით, და მზეზედ გაბრწყინვალებული ბოსტონის სამრეკლოები თავისუფლების კოშკებად მიმაჩნდა“.

ასეთმა გატაცებამ და აღელვებამ სულ რამდენსამე კვირას გასტანა. ცოტა ხანს შემდეგ შენიშნა ოცნებით გატაცებულმა ჭაბუკმა, რომ ის ორიოდე გროშიც ეხარჯებოდა, რაც-კი სულს აქეთ მოეპოებოდა. მაშინ ბენნეტი ერთს სტამბაში შევიდა ნოქარად და კორრექტორად, მოაგროვა ცოტაოდენი ფული და გასწია ნიუ-იორკში, სადაც იმედი ჰქონდა უფრო ფართო ასპარეზს იპოვიდა მოღვაწეობისათვის. ნიუ-იორკში თითქმის ყოველ გვარს საქმეს მოჰკიდა ხელი: მასწავლებლობდა, საპოლიტიკო ეკონომიის კონფერენციებსა კითხულობდა, ხანდახან სწერდა კიდეც, მაგრამ კოჭი მაინც ისე ვერ უჯდებოდა ალჩუს, როგორც თითონ უნდოდა.

ჟურნალისტობა მაშინ ჯერ კიდევ აკვანში იყო. ბევრი არ გამოდიოდა ნიუ-იორკში გაზეთი და ამ გაზეთთა რედაქციებშიაც ჰმუშაობდნენ მხოლოდ გამომცემელი, რედაქტორი, ორი-სამი ასოთამწყობი და ხანდახან, ისიც ძალიან იშვიათად, ერთი ვაშინგტონელი კორრესპონდენტი, რომელსაც კვირაში ფოსტის ხარჯითურთ, სულ ბევრი, 12—20 მან. ჯამაგირი ეძლეოდა. მაშინ ნატვრითაც ვერავინ ინატრებდა წლიურ ჯამაგირად 37,500, ან 50,000 მანათს, რომელსაც ეხლა იღებენ კიდეც საკუთარი კორრესპონდენტები გაზეთებისა, მაგალითებრ, ტრიუნსენდი და ჰოვარდი.

გორდონ ბენნეტი ვაშინგტონში იქმნა გაგზავნილი «New-York Enquirer“-ის კორრესპონდენტად. კონგრესის წიგნთ-საცავში ყმაწვილს კაცს შემთხვევით მოჰხვდა ხელში ჰორას ვალპოლის თხზულებანი. ვალპოლი ლამაზად სწერდა თავისს წერილებს, მშვენიერი ანეკდოტები მოჰყავდა, ყოველ მხრით აქებდა და ამკობდა მაშინდელ გმირთა გვრძო ცხოვრებას... ბენნეტს ეს წერილები ძალიან მოეწონა და აზრად მოუვიდა, რომ მოდი, მეც ამ საშუალებას მივმართავ და ამითი ჩემს წერილებს კონგრესის კრებათა შესახებ უფრო გავამშვენიერებ და გავაუკეთესებო. ყმაწვილკაცის აზრმა გაიმარჯვა და „New-York Enquirer“-ს ბევრი ხელის-მომწერი შესძინა თავისის მშვენიერის კორრესპონდენციებით. ამასობაში წერილების ავტორს არავინ იცნობდა და ბენნეტს მაინც იმდენი ჯილდო ეძლეოდა, რომ იმ ფულით მარტო კუჭს თუ გაუძღებოდა.

მაინც კიდევ ბენნეტი ისე ხელ-მომჭირნედ სცხოვრობდა, რომ 1835 წელს 600 მანეთამდე ფული ჰქონდა. კარგა ხნის ფიქრს შემდეგ იგი წავიდა ერთს ნაცნობ მესტამბესთან, რომელიც შემდეგში ფრიად განთქმული ჟურნალის გამომცემელი იყო. აი რას მოგვითხრობს ჰორას ჰრელი ბენნეტისა და თავისს მოლაპარაკებაზედ: „ჩემთან რომ შემოვიდა ბენნეტი, ასოებს ვარჩევდი. არა მითხრა-რა, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამოიღო მთელი მუჭა ოქროს და ვერცხლის ფულებისა და ერთი 100 მანეთიანი ფასიანი ქაღალდი და წინ დამიწყო. შემდეგ მითხრა, რომ 600 მან. ფული მაქვს, შემომიამხანაგდი და გამოვცეთ გაზეთი — მე რედაქტორად ვიქნები, შენ—ასოთამწყობადაო. მე ვუპასუხე, რომ ამ საქმისათვის ეგ ფული არა კმარა მეთქი. ყმაწვილმა კაცმა დიდი ლაპარაკი აღარ გამიბა და წავიდა. რამდენსამე დღეს შემდეგ შევიტყე, რომ ამიერიდგან დაიბეჭდება ხოლმე ახალი გაზეთი „New-York Herald“-იო“.

ამ გაზეთის რედაქცია ძალიან ღარიბი იყო, სადაც სარდაფში მოეთავსებინათ და რედაქციის მთელი მოწყობილობა აი რა გახლდათ: ოთახში იდგა ერთი ხის სკამი და ორი ცარიელი ბოჭკა, ფიცარ-გადებული, რომელიც სამწერლო სტოლის როლსაც თამაშობდა და გაზეთის საკვეჭავ ადგილსაც. თითო ნომერი ახალის გაზეთისა ჰღირდა 2 კაპ. და დაჰქონდა თვით ბენნეტს, რომელიც ერთსა და იმავე დროს გაზეთის გამომცემელიც იყო, რედაქტორიც, რეპორტერიც, კანტორის მოსამსახურეც, მდივანიცა და, დასასრულ, გაზეთის დამრიგებელიც. ამას გარდა ბენნეტი გადებული იყო განცხადებებიც შეადგინა იმ მუშტრებისათვის, რომელთაც წერა არ იცოდნენ. ყმაწვილ-კაცს ამდენს საქმეში ბევრი გამორჩენა არა ჰქონდა და ხშირად ეკითხებოდა ხოლმე თავისს თავს: მეყოფა ფული, რომ ქაღალდის მეიდავსა და მესტამბეს გავუსწორდე და შემდეგის ნომრის გამოცემა შევიძლოვო.

თითონვე ამბობდა ხოლმე, რომ არაიშვიათად, მოვალეების გასტუმრების შემდეგ, სულ 25 კაპიკი დამრჩებოდა ხოლმე ჯიბეშიო. აი, ამ დროს დღეში თვრამეტ საათს ჰმუშაობდა ბენნეტი, ამ დროს, როცა ორმოცს წელს უკვე მიღწეული იყო. ბენნეტს მეტად თავ-დაჭერილი და გულჩახვეული ხასიათი ჰქონდა და ამიტომ ვერავის იახლოვებდა და ვერავის იმეგობრებდა. დაუღალავად და მხნედ აკეთებდა თავისს საქმეს და თვალ-გაფაციცებით ეძებდა თავისს არხიმედის აზარმაცს, რომ ზედ დაჰყრდნობოდა და ფეხი მკვიდრად მოეკიდებინა დედამიწაზედ. დასასრულ, ერთმა შემთხვევამ უშველა და აზარმაცობა გაუწია.

ერთის ავთიაქის პატრონმა, გვარად ბრანდრეთმა, ამ დროს მოიგონა რაღაც აბები, რომელიც ვითომ ყოველ გვარს სნეულებასა ჰკურნავდა და რომლის შემწეობითაც შემდეგში დიდ-ძალი ფული შეიძინა ამ კაცმა. აი ეს ავთიაქის პატრონი მოვიდა ბენნეტთან და უთხრა, რომ ამდენსა და ამდენს მოგცემ, თუ ჩემს აბებს აქებ შენს გაზეთში და განცხადებას დამიბეჭდავო. ფული იმდენი შეაძლია, რომ გაზეთის აწყობასა და ქაღალდის ხარჯს გაუძღვებოდა თითქმის ყოველ კვირა და ჩვეულებრივ ტანჯვა-წვალებას აღარ გამოაცდევინებდა შაბათობით ბენნეტს, როცა გაზეთის დანახარჯს ასწორებდა ხოლმე. გახარებული გამომცემელი გაზეთისა დიდხანს ელოდდა ამისთანა მუშტარს, რაღა თქმა უნდა, სიამოვნებით დასთანხმდა და მას შემდეგ „New-York Herald“-ის საქმეს დუშაში მოუვიდა. წლის თავზედ ამ გაზეთმა ტანიც აიყარა და ფასიც ერთიორად მოიმატა, უკვე ოცი ათას ეგზემპლიარად გამოდიოდა და ბედნიერ გამომცემლისთვის კვირაში 2,500 მანათი ფული შემოჰქონდა.

## დეპეშა

(საკუთარის კორრესპონდენტისაგან)

ევლახი, 16 მაისი. შეუწყვეტელ წვიმების გამო მტკვარი ადიდდა, ნაპირებზე გადმოვიდა და მთელი რკინის გზის სადგური წყლით გაივსო. დღეს საღამოზედ წყალმა ცოტა იკლო. საქონლის მატარებელთა სიარული შესწყდა, ხოლო ხალხის მატარებელი ძალიან გვიანდება.

13 მაისი

პეტერბურგი. გუშინ სპარსეთის შაჰი და დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე წაბრძანდნენ პეტერგოფს, დაათვალიერეს ბაღები და მერე ისადილეს. საღამოზე მარიამის თეატრში საპარადო წარმოდგენა იყო. შუაგულ საიმპერატორო ლოჟაში ბრძანდებოდნენ მათნი უდიდებულესობანი, მემკვიდრე ცესარევიჩი, შაჰი, მთავარი ჩერნოგორიისა ნიკოლოზი, მემკვიდრე მთავრისა დანიელი, დიდი მთავრინა მარიამ პავლეს ასული და ელისაბედ თეოდორეს ასული. ხელმწიფეს ყაზახური მუნდირი ეცვა, ლენტი ჰქონდა ჩერნოგორიისა და გულზე ეკიდა სურათი შაჰისა; შაჰს შავი მუნდირი ეცვა და ანდრიას ლენტი ჰქონდა გაკეთებული. თეატრში მაღალი საზოგადოება იყო.

გუშინ დილით შაჰის წინაშე წარსდგა კრებული დიპლომატებისა და დეპუტაცია ქალაქისაგან დანიშნული. დეპუტაციამ მიართვა შაჰს ალბომი პეტერბურგის ადგილ-მდებარეობის სურათებით. შაჰმა ბრძანა: ეს ალბომი სასიამოვნო სახსოვარი იქნება ჩემთვის და მომაგონებს აქ სიამოვნებით გატარებულს დროსაო.

გუშინ დასდეს მსჯავრი ბუნაკოვის საქმის გამო. ბუნაკოვს ჰბრალდებოდა მოწამლვა უფის მცხოვრებლის შარშაეინის ქალისა. სასამართლომ გადასწყვიტა, რომ ბუნაკოვმა განზრახ მოსწამლა შარშაეინის ქალიო და ამისათვის გაუჩინა: აეხადოს ყოველივე ღირსება და უვადოდ გაიგზავნოს კატორგაშიო.

ჩარჯუი. ეხლახან გათავდა კრება ბამბის მომყვანთა ტაშკენტში. კრებაზე გენერალ-გუბერნატორმა როზენბახმა გამოაცხადა, რომ მთავრობამ შეიწყნარა აზრი რკინის გზის გაკეთებისა სამარყანდიდამ ტაშკენტამდეო და მთავრობის წინაშე უკვე შუამდგომლობენ, გადასდოს ფული გზის გასაყვანად საჭირო გამოკვლევათა-

---

ამ ნაირად ყველანი უარზე დადგნენ. გაისმა მოხელის ჩვეულებრივი ღრიალი, ფარელები როგორც შემოვიდნენ, ისე გავიდნენ სახლიდგან. უკვირდათ და ამბობდნენ, ხომ არ გადარეულა, რა აყვირებს; ცხენები ჩვენია, გვინდა ვაქირავებთ, გვინდა არაო! დავრჩით ოთახში მე, მოხელე და მამასახლისი. მამასახლისი, ეტყობოდა, კმაყოფილი იყო, რომ მოხელემ ვერაფერი გააწყო. აი, ბატონო, უთხრა: სადაც შენ არ გიგონებენ, ჩემი რა უნდა შეისმინონო, ჰკრა ფეხი და სახლში წავიდა.

დავრჩით ოთახში მარტო ჩვენ ორი. ბევრი უსიამოვნო სიტყვები გამაგონა მოხელემ სვანების შესახებ. იმის აზრით, სვანები ნადირები არიან, იმათთან კარგი არ გადის, იმათი მოჰკვიანება, მოთოკვა შეიძლება მხოლოდ ძალითაო და სხვა მრავალი. მოხელეს დაავიწყდა, რომ იმ ძალის ხმარებამ სვანების შესახებ, რომელზედაც იგი ამყარებდა სვანეთის მოშინაურების იმედს, 1875 და 1876 წელს სამწუხარო ნაყოფი მოიტანა (მაშინ არეულობა იყო სვანეთში). მე-კი ვუმტკიცებდი მოხელეს, რომ სვანები მხეცები არ არიან, მხოლოდ საჭიროა იმათის ხასიათის გაგება და იმისდაგვარად მოქმედება, მაგრამ ჩემს სიტყვებს ბანზე აგდებდა, როგორც „ყმაწვილისას“, რომელმაც ცხოვრებისა ჯერ არა იცის-რა.

მოხელე რომ ამ ამბავში იყო ცხენების შოვნის შესახებ, კომისიის სხვა წევრები გარეთ დასეირნობდნენ მინდორზედ ამ საუცხოვო გრილს საღამოს, როდესაც სეირნობა მოჰბეზრდათ, ისინიც ჩვენს ოთახში შემოვიდნენ. ვახშმობამაც მოაღწია და ყველანი სუფრას მოვუსხედით. ვახშამზე კომ. წევრმა ჰკითხა მოხელეს ცხენების თაობაზე. მოხელეს არაფრად ეამა დავიწყებულ უსიამოვნების გახსენება და ცივად უთხრა, რომ ორი ცხენი ვერ ვიშოვენეთო. წევრმა შეამჩნია, რომ მოხელე ქეიფზე არ იყო, და სიტყვა აღარ გაუგრძელებია.

მეორე დღეს მამასახლისი დაიბარეთ თავისის სამის ცხენით. რადგან ორი ცხენი ვერ ვიშოვენეთ, შევუთვალეთ ბარგის წასაღებად მეორე სოფლამდე ერთი უღელი ხარიც მოეყვანა თავისი. მამასახლისი ისე იყო შეწუხებული, რომ ოღონდ ჩვენ მალე მოვშორებოდით იმის სოფელს და რაც-კი რამ ჰქონდა თავისი, არას იშურებდა. მოგვეიყვანა უღელი ხარი და სამი ცხენიც. ქირა-კი მაშინვე გვთხოვა. მოხელემ ცხენზე ოთხი აბაზი შეაძლია, მამასახლისმა მანეთი ითხოვა. მე სახლში ძმები მყავს, იმათიც არის ეს ცხენები და თუ რაც დამაბარეს, ის ქირა არ მიეუტანე, სახლში უსიამოვნება მოგვივაო. მოხელე მეტს არ აძლევდა. კიდევ უსიამოვნება. აქ წევრიც გაერია და როცა გაიგო, რომ საქმე ოთხის აბაზისა და მანეთის მიცემაზეაო, უთხრა მოხელეს, რომ მიეცა. მოხელეს წევრის გარევა არ ეამა და შელაპარაკდნენ. მაშინ წევრმა თავისი საკუთარი ფული აიღო და ხელში ჩაუდვა მამასახლისს. მოხელემ ეს თავის შეურაცხყოფად მიიღო, უთხრა წევრს, რომ მაგ გვარის ქცევით სულ გადამირევ ხალხს და თუ კიდევ ჩაგიდენია რამ მაგ გვარი, მაშინ ყველაფერს განკარგულებას შენ დაგითმობ და როგორც გინდოდეს, ისე მოიქეციო...

ამასობაში ცხენებს ბარგი აჰკიდეს ბიჭებმა და გზას გაუდგნენ. ჩვენც გავყევით უკან. იმ ღამეს ჩვენ უნდა მივსულიყავით სოფ. თავრარს, ჩუბეხევის საზოგადოებაში. ამ სოფლიდამ ჩვენი გზა იდვა ჩრდილოეთით კავკასიის დიდ ქედისაკენ. სანამ სოფ. თავრარს მივიდოდით, ფარის საზოგადოებაში მდებარე სოფ. ლეშტერი უნდა გაგვევლო. აქამდე გვყავდა მამასახლისის ხარები ნაქირავები, აქ სხვა უნდა გვეშოვნა, მაგრამ ხარების შოვნამ არც აქ ჩაიარა უდავიდარაბოთ. გზაზე ბარგს დავეწიეთ და კიდევ გავუსწარით სოფ. ლეშტერს. მისვლისათანავე შევუდექით ხარების ძებნას, რომ ბარგი წაეღოთ სოფ. თავრარამდე. საქმის დღე იყო. სოფლელნი თივას ჰზიდავდნენ სათიბებიდგან. ბარგის მოსვლამდე რამდენსამე კაცს შევეხვეწეთ დაეთმო ჩვენთვის ხარები თავრარამდე ქირით, მაგრამ ყველამ ცივი უარი გვტკლიცა.

წევრზე გულ-მოსული მოხელე ხშირად წამოიძახებდი ხოლმე: აბა, ერთი მაგ ვაჟბატონმა უქადაგოს თავისი ფილოსოფია და გამოართვას ქირით ხარებიო! ამ ფრაზას პირველად თავისთვის ამბობდა და ბოლოს თითონ წევრსაც გააგონა. წევრმა პასუხად უთხრა, რომ თუ ჩვენი ხალხი არაფერს გვიგონებს, ასე ცივად გვექცევა, ჩემის აზრით, ეს თქვენივე ბრალი უნდა იყოს; რამდენიმე წელიწადი სვანეთში მოხელედ ყოფილხართ და თქვენის მოღვაწეობის ნაყოფს დღეს ვხედავთ; განა ამდენის წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო ის მაინც ჩაგვეგონებინათ ხალხისათვის, რომ მთავრობისაგან გამოგზავნილს კაცს ქირით ხარი და ცხენი არ დაუკაოსო? ერთი მიჩვენეთ მაინც, რა გააკეთეთ ამდენის ხნის განმავლობაში სვანეთში და რითი აღბეჭდეთ კვალი თქვენის აქ სამსახურისაო? მოხელეს ლახვარივით ეცა ეს სიტყვები, პასუხად ლანძღვა-გინებას მოჰყვა, ლანძღვა-გინებით შეგვამკო ყველა იქ მყოფნი და მაშინვე მოგვცილდა. ბევრს ხანს ლაპარაკობდა თავისთვის გაჯავრებული მოხელე, მაგრამ აზრი ლაპარაკისა არ გვესმოდა, რადგანაც ჩვენზე შორს იყო. ამ დროს იმის ახლო ერთმა კაცმა ხარებით მარხილი თივა ჩამოარონინა. ამ კაცს ქართულიც სცოდნოდა. როგორ მოახერხა, არ ვიცი და ეს კი იყო, რომ მოხელე იმას მოერიგებოდა ხარებზე: ეს სვანი დაეთანხმა თავრარამდე წაეღო ჩვენი ბარგი ქირით. მოხელე ამ დროს გამხიარულებული იყო, იგი თითქო ნიშნს უგებდა ბ-ნს წევრს, რომ ისევ მან მოაწყო საქმე და იშოვნა ხარები. ამ დროს მამასახლისის ხარებმაც მოაღწია ჩვენის ბარგით. ლეშტებულმა კაცმა თივის მარხილი სახლში წაიღო, თივა შინ დაჰყარა და ხარები ცარიელის მარხილით ჩვენ მოგვგვარა. მაშინვე უთხარით ბიჭებს ბარგი მარხილში ჩაეწყოთ და საჩქაროდ გაეწიათ თავრარს. მაგრამ სადღა გასწევ! სწორედ იმ დროს, როდესაც ხარები ჩვენის ბარგით გზას გაუდგნენ, მოვარდა ხარების პატრონის ძმა, ხარებს ხელი სტაცა, შეაჩერა და თავისი ძმა ძლიერ შესტუქსა — როგორ თუ შენ ამისთანა მუშაობის დროს ხარებს ვიღაცებს აძლევო და ოჯახსა ჰლუპავო. ჩვენ განრისხებული შემოგვხედა და ხარები გამოუშვა მარხილიდამ. ყველანი სახტად დავრჩით ამ მოულოდნელს ამბავზე, ვერც ერთი ვერ მივედით ამ გაჯავრებულს კაცთან, რომ ან წყრომა და ან თხოვნა გაგვეცხადებინა მისთვის. ის სულ თავისს ძმას უჯავრდებოდა, სტუქსავდა, რომ ამისთანა დროს ხარები გააქირავა, რომ იგი რას აიღებს იმდენს, რასაც დღეის ხარების მოცდენა ოჯახს ზარალს მოუტანსო. მოხელეს რომ ეს სიტყვები გადავუთარგმნე, მეტად ავს გუნებაზე დადგა. იგი იმ დროს მზად იყო სცემოდა თავხედს სვანს ყრონჩში და მერე რაც იქნებოდა-იქნებოდა. მაგრამ თითონ ძმებმა გამოიხსნეს მოხელე ამ განსაცდელისაგან. ხარების მომყვანმა გადაწყვეტით უთხრა თავისს ძმას, რომ უთუოდ მივაქირავებ ხარებს კომისიას, რადგანაც სიტყვა მივეციო, და თუ შენ ამაზე გული გტკივა და წყენად გრჩება ეს საქმე, მერე გამისწორე ანგარიშიო. აქ მოწინააღმდეგე ძმაც შეჩერდა და ამ ნაირად გადავრჩით ხიფათს. ხარები ისევ ჩვენ დაგვრჩა და ბარგი წავიღეთ თავრარს.

თ. სვანი

(შემდეგი იქნება)

თეისო. განზრახვა არის, რომ რკინის გზა პირდაპირ ტაშკენტისაკენ-კი არ წავიდეს, არამედ ხოჯენტის მაზრის ნაყოფიერ ნაწილსაც ახლო გაუაროს, რათა გზას დაუახლოვდეს ფერგანის ოლქი და ქვა-ნახშირის მადნები თურქესტანისაო.

რიგა. აქაური გაზეთები ამბობენ, რომ ახალი სამოსამართლო დაწესებულებანი 20 ნოემბერს იქნება შემოღებული ბალტიის სანაპირო გუბერნიებშიო.

ბერლინი. რეიხსტაგმა 185 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 165 შეიწყნარა კანონი, რომლის ძალითაც უძლური და მოხუცებული მუშები უზრუნველ-ყოფილნი უნდა იყვნენ. მინისტრმა ბეტიგერმა წაიკითხა ეპისტოლე იმპერატორისა და შემდეგ, იმპერატორის მინდობილობით, მადლობა უთხრა რეიხსტაგის წევრთ თავ-განწირულის დახმარებისათვის ასეთს სამამულიშვილო საქმეში. სესია რეიხსტაგისა ამით გათავდა.

ლონდონი. სერ დრუმონდ ვოლფი დღეს დილით მოვიდა და, ვიდრე შაჰი არ დაბრუნდება სპარსეთში, ინგლისში დაჰყოფს.

ბერლინი. „Berliner Tagblatt"-ში დაბეჭდილია ლაპარაკი, რომელიც ჰქონია ამ გაზეთის თანამშრომელს კრისპისთან. თანამშრომელს უკითხავს კრისპისთვის იტალია-გერმანიის ხელ-შეკრულობის თაობაზე, მაგრამ კრისპის უთქვამს, რომ მაგაზე პასუხს ვერ მოგცემო. საკმაოა მხოლოდ ესთქვა, რომ იტალიისა და გერმანიის კავშირი მეტად მტკიცე საფუძველზეა დამყარებულიო.

ვენა. კლადნოში ქვა-ნახშირის მადნების მუშებს, ასე 7,000-მდე კაცს, პირი შეუკრავთ და ხელი აუღიათ მუშაობაზე. მადნებში ქვეითი ჯარები გაუგზავნიათ. მადნების პატრონები და მუშები ეცადნენ მორიგებულიყვნენ, მაგრამ ეს ცდა უნაყოფოდ დარჩა. უწესოება არავითარი არ მომხდარა.

14 მაისი

პეტერბურგი. გუშინ ხელმწიფე იმპერატორმა და მემკვიდრე ცესარევიჩმა ინახულეს მთავარი ჩერნოგორიისა, ხოლო იმპერატრიცამა და დიდმა მთავარმა გიორგი ალექსანდრეს ძემ სმოლნის ინსტიტუტი, საცა სწავლობენ ჩერნოგორიის მთავრის ასულნი.

გუშინ სპარსეთის შაჰმა გვირგვინის დადებით პატივი სცა განსვენებულის ალექსანდრე II-ის საფლავს.

გუშინ სალამოს ერმიტაჟის თეატრში წარმოდგენა იყო. წარმოდგენაზე ბრძანდებოდნენ მათნი უდიდებულესობანი, შაჰი, წევრნი საიმპერატორო გვარეულობისანი და მთავარი ჩერნოგორიისა თავის შვილებითურთ. წარმოდგენის შემდეგ ვახშამი იყო გამართული საგერბო დარბაზში.

გუშინ ჩერნოგორიის მთავარმა მიიღო დეპუტაცია სასლავიანო საქველმოქმედო საზოგადოებისაგან. დეპუტაციის მოთავედ იყო გრაფი იგნატიევი. დეპუტაციამ მიართვა მთავარს ხატი კირილესი და მეთოდისა.

ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორი გრაფი იგნატიევი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგად.

ვარშავა. შაჰი ჩამოხდება ბელვედერის სასახლეში. 16 მაისს რაუტი იქნება სასახლის დარბაზში, 17 წარმოდგენა ლაზენკოვის თეატრში და 18 მაისს შაჰი აპირობს ვარშავიდგან წასვლას.

ბერლინი. დღეს კაიზერგოფის სასტუმროში გერმანიის პარლამენტმა სადილი გაუმართა კრისპის. რეიხსტაგის პრეზიდენტმა დალია სადღეგრძელო იმპერატორისა და მეფისა და სთქვა რომ კავშირი ორის ხელმწიფისა მშვიდობიანობის თავმდებიაო. კრისპიმ უპასუხა, რომ თუმცა მოკავშირენი შეიძლებენ, როცა უნდათ, მაშინ დაიწყონ ომი, მაგრამ მაინც მშვიდობიანობას არიან მოწადინებულნიო.

პარიჟი. „Justice"-ი ამბობს, რომ მეფე ჰუმბერტომ უარი სთქვა და სტრასბურგს აღარ წავა, რადგან იტალიიდამ ისეთის შინაარსის დეპეშები მოუვიდაო. დეპეშებით სწერდნენ: სტრასბურგში წასვლა საფრანგეთის საომრად გამოწვევას ეგვანებაო და მაგ გარემოებას მეტად მძიმე საქმე მოჰყვება თქვენთვისაცა და კრისპისათვისაცაო.

ვენა. „Neue Freie Presse"-ი ამბობს, რომ სერბიის დედოფალ ნატალიასა და სარეგენტოს შორის დიდი უსიამოვნება ჩამოვარდაო. დედოფალს უნდა სერბიაში დაბრუნდეს დაუყოვნებლივაო.

15 მაისი

პეტერბურგი. გამოცხადდა შემდეგი უმაღლესი რესკრიპტი მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელობაზედ: „განგებამ ღვთისამ სასწაულებრივ გადამარჩინა მე, იმპერატრიცა და ძენი ჩვენი აუცილებელ ის განსაცდელისაგან დღესა რკინის გზის მატარებლის დამსხვრევისასა, 17 ოქტომბერს 1888 წელს. მადლობის საერთო და ღრმა გრძნობასა, რომელმაც შეაერთა ყველა რუსნი გულწრფელსა ლოცვასა შინა ღვთისა მიმართ, დაერთო მხურვალე სურვილიცა იმ უბედურების მიზეზის შეტყობისა, რომლის მარტო ოდენ წარმოდგენაც-კი საყოველთაო ზარსა ჰბადავდა. ახლა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მიზეზი ყოფილა გაუფრთხილებლობა და უზრუნველობა არა მხოლოდ კერძო კაცთა, არამედ იმათიცა, ვინც სახელმწიფო სამსახურში ითვლება და ვისაც შესუსტებია გრძნობა სამსახურის მოვალეობისა, რომელიც უნდა აგონებდეს სასტიკისა და გამუდმებულის სიფხიზლით ექცეოდნენ საქმეს. საზოგადო წესისამებრ, ეს საქმე სისხლის სამართალს უნდა გადასცემოდა, რათა მას დაესაჯა დამნაშავენი; მაგრამ ღვთის მოწყალებით ჩემზედ მოვლენილი სასწაული მაშინ, როცა გარშემო გაუფრთხილებლობა ჰსუფევდა და გონება კაცისა ვერ მიხვედრილიყო წინამდებარესა საქმესა, მაიძულებს ამ შემთხვევას ისე ვუცქირო როგორც. შთაგონებასა იმათთვის, ვინც უმაღლესად დადგენილნი არიან სამსახურის მოვალეობის ასასრულებლად. ამიტომ ვსცან შესაძლებლად მოწყალებით მოვექცე ბრალდებულთ და ასე გადავსწყვიტე: 1) გამოძიება ამ საქმისა მოსპობილ იქმნას; 2) გზათა მინისტრს მიენდოს გამოიძიოს უკანონო მოქმედებანი ამ საქმეში სამსახურის კაცთა და გადაახდევინოს გადასახდელი, რათა შემდეგისათვის აცილებულ იქმნას უწესოებანი. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, დიდძალი მასალა შეგროვდა, რომელიც ამტკიცებს, რომ უწესოდ განაგებდნენ კურსკო-ხარკოვო-აზოვის რკინის გზასაო. ყოველივე ესე არ უნდა იქმნას დავიწყებული. ამ მასალის შემწეობით გზათა სამინისტრო ჰნახავს, რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული უწესოების მოსასპობად არა მარტო ზემოხსენებულს გზაზე, არამედ სხვა რკინის გზებზედაცა. ამისათვის ყველა ცნობანი ზემოხსენებულის გზის უწესოებისანი იუსტიციის მინისტრმა უნდა შეატყობინოს გზათა მინისტრს. მოგანდობთ ყოველივე ზემოხსენებული შეატყობინოთ შესასრულებლად ზემოხსენებულს მინისტრებსა".

გუშინ საუზმის შემდეგ ანნას სასახლეში, ნაშუადღევის 2 საათზე, წავიდა შაჰი პეტერბურგიდამ ვარშავის რკინის გზით. შაჰი გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა, მემკვიდრე ცესარევიჩმა და დიდმა მთავრებმა. გუშინვე მათნი უდიდებულესობანი წაბრძანდნენ გატჩინოს. ხელმწიფემ მიუძღვნა შაჰს თავისი სურათი გულზედ სატარებლად ანდრიას ლენტით.

ბერლინი მეფე იტალიისა და მემკვიდრე პრინცი ამალითურთ გუშინ საღამოს წავიდნენ ბერლინიდამ.

16 მაისი

პეტერბურგი შაჰის ამალას ებოძა უმაღლესი ორდენები და საჩუქრები: პირველს ვეზირს—ორდენი თეთრის არწივისა, თავსმჯდომარეს სახელმწიფო საბჭოსას—ორდენი წმ. ანნასი, პირველის ხარისხისა ბრილიანტებით მოჭედილი, ფლოტისა და მწერლობის მინისტრს და შაჰის მკურნალს—ორდენი წმ. ანნასი პირველის ხარისხისა; დანარჩენებს ებოძათ დაბალი ორდენები და საჩუქრები, მოსამსახურეთა—მენდლები და საჩუქრები.

ბოხუმი. 15 მაისს ღამე შეპყრობილ იქმნა მთელი კომიტეტი იმ მუშებისა, რომელთაც ხელი აიღეს მუშაობაზე. კომიტეტში 40 კაცი იყო. კომიტეტის ქაღალდები და მიწერ-მოწერაც მთავრობამ წაიღო.

ლონდონი. სპარსეთის შაჰი მივა ლონდონს 1 ივლისს ახალის სტილით. დაჰყოფს ლონდონში 25 დღეს შაჰისთვის სადგომი მომზადებულია ბეკინგემის სასახლეში.

ლორდ სალისბერი, როცა ლორდთა პალატაში კამათობა იყო ფლოტის გაძლიერების გამო, სცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სამხედრო საშიშროება მოგველისო, თუმცა ეხლა მშვიდობიანობა ჰსუფევსო და რომ ინგლისმა უნდა იზრუნოს და დაიფაროს თავი ამ საშიშროებისაგანაო.

ბელგრადი. გუშინ კრება ჰქონდათ ნაპრედნიაკებს რესტორანის ბაღში. ხალხი თვალ-ყურს ადევნებდა ღობიდამ, რაც ბაღში ხდებოდა. როცა ნაპრედნიაკებმა იწყეს ძახილი: „ჟივიო გარაშანინ!" ხალხში დაიძახეს: «პერეატ»!, ნაპრედნიკებმა დაუწყეს ხალხს სროლა რევოლვერებისა. ხალხმა პასუხად ქვა დაუშინა სეტყვასავით ნაპრედნიაკებს და მერე ეცა თვით გარაშანინს. გარაშანინმა რევოლვერი დაახალა გიმნაზიელს, დასჭრა სასიკვდილოდ და თვითონ დაიმალა შინაგან საქმეთა სამინისტროში. ხალხმა ჩაამტვრია გარაშანინის სახლში ყველა ფანჯრები, დალეწა ავეჯი და ფანჯრები ნაპრედნიაკების კლუბში და გაზ. „Видѣло"-ს რედაქციაში. ძლივს საღამოზედ ჯარმა და ცხენოსანმა ჟანდარმებმა გაჰფანტეს ხალხი. დაჭრილია ათ კაცამდე.

სტამბოლი. ხმა ისმის, რომ კრიტის საერო კრებამ გადასწყვიტა, შეუერთდეს კრიტი საბერძნეთსაო. ეს ხმა დაამოწმა კრიტის სამხედრო კომენდანტის დეპეშამ.

ბელგრადი. დღეს ხელ-ახლად დაიწყო უწესოებანი. რამდენიმე ნაპრედნიაკი გალახეს, ორი მძიმედ დასჭრეს, ერთი მოჰკლეს. ახალგაზდობა მონაწილეობას იღებს გარაშანინისაგან მოკლულის გიმნაზიელის დამარხვაში. შიშობენ, რომ დიდი უწესოებანი არ მოხდესო. უწესოებანი განზრახ მოახდინეს ნაპრედნიაკებმაო.

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან.

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობა, 1881 წელს 17 თებერვალს დამტკიცებულ ბანკის წესდების მე-15 §-ის ძალით, ამით აცხადებს, რომ 20 ივნისს 1889 წ., დილის 12 საათზედ, ტფილისში, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზე, არწრუნისეულს სახლებში, საჯაროდ გაისყიდება ქვემოხსენებული მამულები ვაჭრობის განუმეორებლად ბანკის წესდებულებით დადგენილთა გადასახდელების შეუტანლობისათვის, მე-13, 14, 15, 17, 18 და 19 §§ მებრ.

ა) სესხნი გაცემულნი არა-ურთიერთობრივის თავდებობით.

I ქალაქის მამულები

მირიანოვისა, მარიამ იაკობის ასული: ერთი ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანოები, 168 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. გორში. თავნი ვალი 3554 მან. 39 კაპ. შემოსატანი 260 მან. 21 კაპ. სულ 3814 მან. 60 კაპ.

ჰოლტორაცკი, ივანე ეგნატეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ორის ორ-სართულიანის ფლიგელითა და შენობით. მიწის ზომა $321^1/_3$ ოთხ-კუთხი საჟენი. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, ოლგასა და მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 18890 მან. 43 კაპ. შემოსატანი 2305 მან. 78 კაპ. სულ 21,196 მან. 21 კაპ.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოოზ ივანეს ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, ყველა თავის მოწყობილობით და 87 ოთხ-კუთხ საჟენ მიწით. ქ. ტფილისში, 1 განყოფილებაში, მე-6 ნაწილში, მოლნილისა და ბებუთოვის ქუჩაზე, № 21. თავნი ვალი 6938 მან. 77 კაპ. შემოსატანი 562 მან. 52 კაპ. სულ 7501 მან. 29 კაპ.

ყალამქაროვი, გრიგოლ ნაზარის ძე: ორი სახლი: ერთი ერთ-სართულიანი და მეორე ორ-სართულიანი ფლიგელით. მიწის ზომა 196 ოთხ-კუთხი საჟენი და სამი არში. ქ. ახალციხეს. თავნი ვალი 3854 მან. 87 კაპ. შემოსატანი 291 მან 88 კაპ. სულ 4146 მან. 75 კაპ.

ოქროვი, გრიგოლ იაგორის ძე: ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი და მიწა ზომით 76 ოთხ-კუთხი საჟენი. ტფილისის მე-5 ნაწილში, 1 განყოფილებაში, № 299. თავნი ვალი 4068 მან. 12 კაპ. შემოსატანი 442 მან. 91 კაპ. სულ 4511 მან. 3 კაპ.

ალენიკოვისა, სალომე იაგორის ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ორ-სართულიანივე ქვითკირის ფლიგელი, ზომით 88 საჟენი $1^1/_2$ არშინი. ტფილისს, დავიდოვის ქუჩაზედ. თავნი ვალი 2778 მან. 70 კაპ. შემოსატანი 265 მან. 66 კაპ. სულ 3044 მან. 36 კაპ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს ასული: 18 ქვით. დუქანი, ამათში 14 ერთ-სართულიანი და 4 ორ-სართულიანი ბალახანითურთ. მიწის ზომა 276 ოთხ-კუთხი საჟენი. ქალაქ ტფილისს, ორი დუქანი იმყოფება მე-6 ნაწილში და 16 ჩუღურეთს. თავნი ვალი 20,035 მან. 31 კაპ. შემოსატანი 3292 მან. 4 კაპ. სულ 23,327 მ. 35 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს ძე: მიწა 300 ოთხ-კუთხი საჟ. 11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 973 მან. 95 კაპ. შემოსატანი 191 მან. 44 კაპ. სულ 1165 მან. 39 კაპ.

II სოფლის მამულები

ჭავჭავაძე, ზაქარია გულბაათის ძე: სახნავი ადგილები და ტყე 660 დეს. 1800 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრის სოფ. ბოტკოს. თავნი ვალი 11,246 მან. 48 კაპ. შემოსატანი 620 მან. 80 კაპ. სულ 11,767 მან. 28 კაპ.

ხიმშიევები, ნიკოლოოზ, ნინო და მარიამ გიორგის ძენი და ეკატერინე ბექანის ასული: სახნავი და სამოვარი მიწა ზომით 653 დესიატინა 1820 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, ამტნისხევში. თავნი ვალი 4113 მან. 1 კაპ. შემოსატანი 325 მან. 2 კაპ. სულ 4,438 მან. 3 კაპ.

ნაზაროვგოვი, სოლომონ გრიგოლის ძე: სახნავი, სათიბი და სამოვარი ადგილი, ზომით 548 დესიატინა 1837 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფელ ყიჩიკში. თავნი ვალი 7311 მან. 46 კაპ. შემოსატანი 389 მან. 60 კაპ. სულ 7,701 მან. 6 კაპ.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის ძე: სახნავ-სათესი, ვენახი და სახლ-კარის ადგილები შენობებით, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟ. მიწა უჭირავთ ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრის სოფ. ბრეთში. თავნი ვალი 8,269 მან. 81 კაპ შემოსატანი 754 მან. 40 კაპ. სულ 9024 მან. 21 კაპ.

კერესელიძისა, ანასტასია გრიგოლის ასული: სახნავი და სამოვარი ადგილები და ტყე, ზომით 104 დესიატ. და 1,200 ოთხ-კუთხი საჟ ტფილისის მაზრაში, აკარაკს ბოგვში. თავნი ვალი 2770 მან. 94 კაპ. შემოსატანი 350 მან. 3 კაპ. სულ 3,120 მან. 97 კაპ.

თოთვზიევის, ხანუმა ყიზი-ხანუმა (ეხლა ზეინალოვებისა): სახნავი და საბალე ადგილები, 388 დესიატინა 250 ოთხ-კუთხი საჟენი ტფილისის გუბერნიაში, ბორჩალოში, შუ-